საქართველოს გენერალური პროკურატურა

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა

ანგარიში მომზადებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის
საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და
სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ

2024

სარჩევი

შესავალი 3

1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გეოგრაფიული გადანაწილება 6

2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკი 11

3. არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები 13

4. განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახური მდგომარეობა, არასრულწლოვნის ქცევისადმი ოჯახის წევრების დამოკიდებულება 17

5. განრიდებულ არასრულწლოვანთა საცხოვრებელი და ეკონომიკური პირობები 21

6. განრიდებულ არასრულწლოვანთა განათლება და სამუშაო გამოცდილება....24

7. განრიდებულ არასრულწლოვანთა ქცევითი თავისებურებები, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება და ძალადობრივი ქცევის გამოცდილება 27

კვლევის ძირითადი მიგნებები....31

შესავალი

კვლევის მიზანი და მნიშვნელობა

საქართველოს პროკურატურა ყოველწლიურად იკვლევს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლებს. კვლევა განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალურ შეფასებებში ასახული ინფორმაციის ანალიზს ეფუძნება და კრიმინოლოგიური კუთხით ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს, როგორიც არის: არასრულწლოვნის განვითარება, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, დესტრუქციული ქცევები, მავნე ჩვევებისადმი დამოკიდებულება, განათლება, ოჯახური გარემო, ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოებისადმი და თანატოლებისადმი დამოკიდებულება, სამუშაო გამოცდილება, ოჯახის წევრთა დანაშაულებრივი საქმიანობა და ა.შ.

კვლევაში ასახული ინფორმაცია, ერთი მხრივ, შესაძლებლობას იძლევა გამოიკვეთოს როგორია არასრულწლოვანთა მახასიათებლები, რაც ბავშვთან მომუშავე უწყებებს სწორი პოლიტიკის განსაზღვრაში დაეხმარება, ხოლო, მეორე მხრივ, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. კვლევაში მოცემული სტატისტიკური ინფორმაცია დანაშაულის გამომწვევი შესაძლო მიზეზების იდენტიფიცირების და არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

კრიმინოლოგიის მნიშვნელოვანი როლი ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაში აღიარებულია. კრიმინოლოგია განიმარტება, როგორც დანაშაულებრიობის, დანაშაულის მიზეზის, დამნაშავის პიროვნების, დანაშაულის თავიდან აცილების მეთოდების და საშუალებების შემსწავლელი იურიდიული მეცნიერების დარგი. უფრო კონკრეტულად, კრიმინოლოგია ეს არის სხვადასხვა სოციოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნებული კვლევა, რომელიც ავლენს დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელ გარემოებებს. კრიმინოლოგიური კვლევის შედეგები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში.[1]

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ - „კრიმინოლოგიის სფერო ცდილობს დანაშაულის გაგებას და ახსნას, რის შედეგადაც დანაშაულის უარყოფითი გავლენების შემცირებაა შესაძლებელი. მედიცინის დარგის მსგავსად, იგი მოითხოვს პრევენციული სტრატეგიების შემუშავებას და მათი ფართო მასშტაბით დანერგვას, საზოგადოებისა და კერძო სექტორის პრაქტიკულად ყველა ასპექტსა და განზომილებაში.“[2] დღეს უკვე ცალსახად აღიარებულია, რომ „კრიმინოლოგიას ყველა განვითარებულ ქვეყანაში, საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. კრიმინოლოგიის განვითარება სახელმწიფოსა და საზოგადოებას ეხმარება ისეთი ზოგადსაკაცობრიო და ყოველდღიური სოციალური პრობლემების გაანალიზებასა და დარეგულირებაში, როგორიცაა დევიანტური ქცევები, კონკრეტული დანაშაული და დანაშაულობა, როგორც სოციალური მოვლენა.“[3]

[1] ს. ურიდია და სხვა. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი. გაეროს განვითარების პროგრამა. თბილისი, 2004. გვ. 483.
[2] კ. ესკრიჯი. კრიმინოლოგიის როლი გლობალურ დონეზე.ჟურნალი „კრიმინოლოგი.“ თბილისი, 2020. გვ. 32.
[3] დ. წულაია. კრიმინოლოგიის მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში.ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი.“ N3(26). გვ. 123.

აღიარებულია, რომ კრიმინოლოგიამ, როგორც დამოუკიდებელმა მეცნიერებამ, შეძლო მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებების განხორციელება სისხლისსამართლებრივ სისტემებში როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ქცევაზე რეაგირების, ისე დაზარალებულთან მიდგომების თვალსაზრისით,[4] რადგან დანაშაულის შესაძლო გამომწვევი მიზეზების შესახებ მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაცია შესაძლებლობას იძლევა მეცნიერულ საფუძველზე იქნეს შემუშავებული და განხორციელებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ზომები.[5]

საერთაშორისო სტანდარტები მხარს უჭერს აღნიშნული მიმართულებით კვლევების გაძლიერებას. გაეროს „სახელმძღვანელო წესები დანაშაულის პრევენციის შესახებ“ მიუთითებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა „დაგეგმილი და განხორციელებული უნდა იქნეს დანაშაულის აღკვეთასთან დაკავშირებული პროგრამების სანდო, სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და პერიოდული მონიტორინგის, შეფასებისა და შესაბამისად შესწორების საფუძველზე.“[6] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ კი ხაზს უსვამს, რომ „თანამშრომლობა უნდა იქნეს წახალისებული მეცნიერული კვლევის წარმოებასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენისა და არასრულწლოვნების დანაშაულის აღკვეთის შესახებ ეფექტიანი მიდგომების შემუშავებას და ასეთი კვლევის შედეგები ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული და შეფასებული.“[7]

ზემოაღნიშნული ცალსახად მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ მართლმსაჯულების სისტემა ფლობდეს ინფორმაციას და სიღრმისეულად აანალიზებდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლებს, რადგან არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზის შედეგები იძლევა შესაძლებლობას, განისაზღვროს სწორი მიმართულებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ფარგლებში კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას, დასახული იქნეს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ეფექტიანი ღონისძიებები.

ვინაიდან კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლებისა და ქცევის თავისებურებების ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის, ისე კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობისთვის აუცილებელი სერვისების შემუშავების მიმართულებით, კვლევის მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მახასიათებლების შესახებ, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია ყოველწლიურად მიეწოდოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართულ და ბავშვთან მომუშავე სხვა უწყებებს, ასევე, სამეცნიერო წრეებს, რათა შესაბამისმა პირებმა და უწყებებმა შეძლონ მათი გამოყენება შემდგომ საქმიანობასა და შესაბამისი მიმართულებებით, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელონ დამატებით სიღრმისეული კვლევები.

[4] Roufa, Timothy. "Criminology, the Study of Crime, Causes, and Consequences". The Balance Careers. Retrieved 30 April 2019// https://www.liveabout.com/what-is-criminology-974589

[5] ი. გოძიაშვილი. კრიმინოლოგია. თბილისი, 1987. გვ. 67-71.

[6] გაეროს სახელმძღვანელო წესები დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), III თავი.

[7] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები), წესი 64.

კვლევის ობიექტი და კვლევაში ასახული ინფორმაცია

კვლევის ობიექტს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური მახასიათებლების ანალიზი წარმოადგენს, რაც 2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალურ შეფასებებში ასახულ ინფორმაციას ეფუძნება.

წარმოდგენილ კვლევაში ასახული არასრულწლოვნის ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორიც არის არასრულწლოვნის ბიო, ფსიქო და სოციალური მახასიათებლები, ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენს არასრულწლოვნის ქცევაზე. სწორედ ასეთი ფაქტორების კვლევას ეფუძნება კრიმინოლოგია, დანაშაულის შესაძლო მიზეზების კვლევის დროს. თუმცა, კვლევაში წარმოდგენილი მონაცემებით არ ხდება დასკვნების გაკეთება, რომელიმე გარემოება ცალკე აღებული წარმოადგენს თუ არა დანაშაულის გამომწვევ მიზეზს. საქართველოს პროკურატურა წარმოდგენილ ანგარიშში კრიმინოლოგთა, ფსიქოლოგთა და სოციოლოგთა მეცნიერული მოსაზრებებზე დაყრდნობით ხაზს უსვამს ცალკეული მახასიათებლების მნიშვნელობას არასრულწლოვნის ქცევის ფორმირების პროცესში, რის საფუძველზეც ახდენს კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მონაცემების დამუშავებას და კვლევაში შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას ასახავს.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასისათებლების კვლევა წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე არ აკეთებს დასკვნებს. კვლევაში წარმოდგენილი მონაცემები იმთავითვე არ უნდა განვიხილოთ, როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი გარემოებები. რა თქმა უნდა, კრიმინოლოგიური კვლევა კიდევ უფრო ღრმა ანალიზს და ბევრი განსხვავებული გარემოების შესწავლას საჭიროებს. აღნიშნული მიზნით, წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის შესაბამის სპეციალისტებს.

წინამდებარე კვლევა, კრიმინოგენური კუთხითაც, საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. კერძოდ, კვლევის დასაწყისში, 2024 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო მონაცემების საფუძველზე, არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებაც არის წარმოდგენილი მოკლე ინფორმაცია და არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი გაანალიზებულია გეოგრაფიულ ჭრილში, მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით, ასევე, ასაკობრივ ჭრილში დანაშაულის სახეების მიხედვით.

1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გეოგრაფიული გადანაწილება

არასრულწლოვანთა დანაშაულის დონე, როგორც კრიმინოგენური მდგომარეობის შეფასების მიზნით, ისე კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს.

არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი შესაძლებლობას გვაძლევს 14-დან 18 წლამდე ასაკის პირებში განვსაზღვროთ კრიმინალური ქმედებების სიხშირე დანაშაულის სახის მიხედვით, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე რეგიონულ ჭრილში. ასევე, გავაანალიზოთ დანაშაულის სიხშირე წლების მიხედვით და შევაფასოთ არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოგენური მდგომარეობა.

აღნიშნული მიზნით, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, მოხდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობის განსაზღვრა რეგიონულ ჭრილში, ასევე, განისაზღვრა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა თანაფარდობა მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით. აღნიშნული გვიქმნის წარმოდგენას არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მასშტაბების შესახებ. ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებში კი, არასრულწლოვანთა დანაშაულის დონის განსაზღვრა შესაბამის უწყებებს რეგიონულ დონეზე პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს.

2024 წლის მონაცემებით, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 1164-ს შეადგენს, საიდანაც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში დაფიქსირდა.

რეგიონულ ჭრილში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში



მონაცემების რეგიონულ ჭრილში გაანალიზებისას ირკვევა, რომ არასრულწლოვნის მიერ ყველაზე მეტი დანაშაული ჩადენილი იქნა თბილისში (37%). რეგიონებში კი,

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დასავლეთის (15%), ხოლო ყველაზე დაბალი - სამცხე-ჯავახეთის (4%) რეგიონში ფიქსირდება.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, მომატებულია ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა. 2023 წელს ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი 1010 იყო. მართალია, თბილისის მასშტაბით ყველაზე მაღალია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, მაგრამ, 2023 წელთან შედარებით, ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობაში შემცირებულია თბილისის მასშტაბით ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა ხვედრითი წილი. თუმცა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა მომატებულია რიგ რეგიონებში, მაგალითად, დასავლეთისა და კახეთის რეგიონებში.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი 2023-2024 წლებში



დანაშაულის გავრცელების მასშტაბის და კრიმინოგენური სურათის სრულად შესაფასებლად, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი გაანალიზდეს მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2024 წელს, 2025 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, 3 694 608-ს შეადგენს. შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით ყოველ 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი არის 0,32. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია. 2023 წელს, ყოველ 1000 მოსახლეზე გაანგარიშებით, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი 0,27 იყო.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით გაანალიზდა რეგიონულ ჭრილშიც. 2024 წელს, რეგიონების მიხედვით, ყოველ 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი შემდეგია:

რეგიონი	მოსახლეობა, ათასი	კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი	არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი ყოველ 1000 მოსახლეზე
დასავლეთი	468.4	171	0.37
შიდა ქართლი	336.8	121	0.36
სამცხე-ჯავახეთი	142.064	49	0.34
თბილისი	1258.526	432	0.34
აჭარა	465.1	153	0.33
კახეთი	299.896	83	0.28
სამეგრელო-ზემო სვანეთი	287.796	75	0.26
ქვემო ქართლი	436.026	80	0.18
სულ საქართველო	3694.608	1164	0.32



მართალია, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ყველაზე მეტი რაოდენობა თბილისში დაფიქსირდა, თუმცა, როგორც მონაცემთა ანალიზიდან ირკვევა, ყოველ 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დასავლეთსა და შიდა ქართლის რეგიონში ფიქსირდება, ხოლო ყველაზე დაბალი - სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში.

როგორც უკვე აღინიშნა, 2024 წელს ქვეყნის მასშტაბით, ყოველ 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი 2023 წელთან შედარებით მომატებულია. საინტერესოა, ქვეყნის მასშტაბით, მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებლის დინამიკა წლების მიხედვით.

ქვეყნის მასშტაბით, 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 0,15 იყო, ხოლო 2021 წელს - 0,16. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ამ მაჩვენებელმა მოიმატა და 0,25 შეადგინა. 2023 წელს კვლავ შენარჩუნდა მოსახლეობის რაოდენობასთან მიმართებით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობის მატების ტენდენცია და ყოველ 1000 მოსახლეზე ქვეყნის მასშტაბით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელმა 0,27 შეადგინა.

2020-2024 წლებში, ქვეყნის მასშტაბით, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა და მაჩვენებელი ყოველ 1000 მოსახლეზე შეფარდებით შემდეგია:

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა 2020-2024 წლებში



აღნიშნული მაჩვენებელი წლების მიხედვით დინამიკაში გაანალიზდა რეგიონულ ჭრილშიც, რაც ქვეყანაში არსებულ საერთო სურათთან ერთად არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოგენური მდგომარეობის რეგიონულ ჭრილში შეფასების შესაძლებლობასაც იძლევა.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი ყოველ 1000 მოსახლეზე 2020-2024 წლებში



როგორც მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, გასულ წლებთან შედარებით, ყოველ 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი დასავლეთში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და ქვემო ქართლში მომატებულია. წლების მიხედვით მატების ტენდენცია ფიქსირდება შიდა ქართლის რეგიონშიც.

აღსანიშნავია, რომ თბილისში, აჭარასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წელს შემცირებულია.

ვინაიდან კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა 58% განრიდებულები იყვნენ, მათ მართლმსაჯულების სისტემასთან შემხებლობა განრიდებამდე ვერ ექნებოდათ. განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობრივი ზრდა მიუთითებს, რომ აუცილებელია პირველი და მეორე დონის დანაშაულის პრევენციის მექანიზმების გაძლიერება და ეფექტურობის ზრდა. კანონთან კონფლიქტში მყოფი, პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანებისთვის აუცილებელია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების გაძლიერება, რათა ეფექტურად მოხდეს მართლმსაჯულების სფეროში მოხვედრილი ბავშვის რეაბილიტაცია, მის მიერ პასუხისმგებლობის გააზრება და განმეორებითი დანაშაულის პრევენცია.

2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკი

არასრულწლოვანთა დანაშაულის ანალიზის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დანაშაულის ჩამდენი პირის ასაკი, რადგან არასრულწლოვნის ასაკობრივი განვითარების თავისებურებები არასრულწლოვნის ქცევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია, რომელიც არასრულწლოვანთან ნებისმიერი მიმართულებით მუშაობის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელი გარემოებაა.

კრიმინოლოგები, ფსიქოლოგები და სოციალური სფეროს წარმომადგენლები არასრულწლოვანთა დანაშაულების თავისებურებებზე საუბრისას, დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ასაკს განიხილავენ. სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზებამდე, მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ განვიხილოთ ასაკის გავლენა არასრულწლოვანთა დანაშაულზე. არასრულწლოვანთა დანაშაულის სპეციფიკა მნიშვნელოვნად არის განპირობებული სწორედ ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებით. ასაკსა და დანაშაულს შორის ურთიერთობის შესახებ თეორია უძველესია კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში. „ასაკ-დანაშაულის მრუდის“ თეორიის თანახმად, დანაშაული იზრდება ადრეულ მოზარდობაში - დაახლოებით 14 წლის ასაკში, პიკს აღწევს 20 წლის ასაკში და შემდეგ მცირდება,[8] რაც ფსიქოლოგთა შეფასებით ასაკობრივი განვითარების რთულ პერიოდს უკავშირდება. „ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პროცესი, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც მიმდინარეობს. მასში სოციალური განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია გადახლართული. ერთი მხრივ, ამ რთული პერიოდისათვის დამახასიათებელია ნეგატიური გამოვლინებები – პიროვნების დისჰარმონია, უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შეცვლა, მოზრდილებთან მიმართებაში პროტესტის გამომხატველი ქცევა და სხვა.“

ასაკობრივი განვითარების რთული პერიოდი, თავის მხრივ გარდატეხის, ე.წ. პუბერტატის პერიოდით არის გამოწვეული. სპეციალისტები ამ დროს ბავშვის ორგანიზმში ჰორმონალური ცვლილებებით გამოწვეულ სირთულეებს შემდეგნაირად აღწერენ: „მოზარდობის ხანის პრობლემები დაკავშირებულია სამ ძირითად ასპექტთან – ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ეგზისტენციალურ-ფილოსოფიური. ფიზიოლოგიურ დონეზე ამ პერიოდში მომდინარეობს ინტენსიური ჰორმონალური პროცესები, იცვლება სხეული, ხმა, ხდება სქესობრივი მომწიფება. მოზარდი იყურება სარკეში და ხედავს შეცვლილ სხეულს, რომელსაც თავიდან ვერ ეგუება, არ მოსწონს, ეშინია. იგი ხვდება, რომ ბავშვი აღარ არის, თუმცა გარშემომყოფები მას ჯერ უფროსადაც არ აღიქვამენ. ეგზისტენციალური გაგებით მოზარდობის ასაკის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ბავშვების მშობლებისაგან დისტანცირება, პიროვნული ზრდა, ჩამოყალიბება და საკუთარი გზის ძიება. ამ პერიოდში გარდაუვალია მშობლების ავტორიტეტის შესუსტება. მოზარდის ცხოვრებაში ჩნდებიან სხვა უფროსი ავტორიტეტები, რომელთაც ისინი მიბაძავენ. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება თანატოლების აზრი. გამოხატულია ეგრეთ წოდებული „დაჯგუფების რეაქცია“ – ანუ მოზარდის სურვილი იტრიალოს თანატოლთა წრეში, სადაც მოქმედებს თავისებური მორალი, დაუწერელი კანონები და ქცევის კოდექსი.“[9]

[8] M. Rocque, Ch. Posick, J. Hoyle. Age and Crime-Rocque-Major Reference Works-Wiley Online Library. 2015. https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1002/9781118519639.wbecpx275

[9] https://ndc.ge/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A3-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%AE

ფსიქოლოგები, ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვნები უფრო ადრეულ ასაკში არიან მიდრეკილნი დევიაციური ქცევისკენ. ასაკის მატებასთან ერთად, ისევე როგორც, ადრეულ ასაკში დანაშაულის გამოვლენისას სწორი ჩარევის შედეგად, ანტისოციალური და დანაშაულებრივი ქცევისკენ მიდრეკილება ქრება.[10]

კვლევის ფარგლებში, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გაანალიზება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ფარგლებში ხდება, კერძოდ, 14-დან 18 წლამდე ასაკობრივ შუალედში. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც არასრულწლოვანი ე.წ. გარდატეხის პერიოდშია. განვითარების ამ პერიოდს ფსიქოლოგები კრიზისულ პერიოდს უწოდებენ. სწორედ ამიტომ არის ამ ასაკობრივი კატეგორიისთვის დამახასიათებელი დევიაციური ქცევისკენ მიდრეკილება. ამასთან, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული ეპიზოდური ხასიათისაა, რადგან გარდატეხის პერიოდთან ერთად არსებობს მოზარდის სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, ბავშვმა შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს გარდატეხის ასაკში, ხოლო სოციალიზაციის დასრულების შემდეგ აღარ ჩაიდენს დანაშაულს.[11]

2024 წელს, ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან, 211 პირს (18%) დანაშაული 14 წლის ასაკში, 314 პირს (27%) – 15 წლის ასაკში, 291 პირს (25%) - 16 წლის ასაკში, ხოლო 348 პირს (30%) – 17 წლის ასაკში ჰქონდა ჩადენილი.



2024 წლის ტენდენცია შეესაბამება 2019-2023 წლების მონაცემებს. კერძოდ, ყოველწლიურად კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მონაცემები ასაკობრივ ჭრილში ადასტურებს, რომ დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილება 14 წლიდან მზარდია. 2024 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 55%-ს დანაშაული 16-17 წლის ასაკში ჰქონდა ჩადენილი.

[10] https://www.nij.gov/topics/crime/Pages/delinquency-to-adult-offending.aspx
[11] F. Schaffstein, W. Beulke, S. Swoboda. Jugendstrafrecht, Eine systematische Darstellung. 2014. S. 7.

3. არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები

ყოველწლიური მაჩვენებელი მიუთითებს, რომ არასრულწლოვნებში ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები წარმოადგენს.

2024 წლის სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა 68,4%-ს სწორედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული არაძალადობრივი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. დანაშაულის ობიექტის შესახებ ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ხშირად სავაჭრო ობიექტებშია ჩადენილი და ყველაზე მეტად გავრცელებულია არასრულწლოვანთა მიერ ტანსაცმლის და ტკბილეულის ქურდობის შემთხვევები. თუმცა, გვხვდება ალკოჰოლური სასმელისა და სიგარეტის ფარულად დაუფლების შემთხვევებიც.

დანაშაულის სახე	რაოდენობა	%
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	796	68.4%
დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	165	14.2%
დანაშაული საკუთრების, ჯანმრთელობის წინააღმდეგ	25	2.1%
კიბერდანაშაული	23	2.0%
დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	21	1.8%
სატრანსპორტო დანაშაული	16	1.4%
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ და კიბერდანაშაული	15	1.3%
დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	13	1.1%
დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ	11	0.9%
დანაშაული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	10	0.9%
ნარკოტიკული დანაშაული	9	0.8%
დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ	6	0.5%
დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ	6	0.5%
დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ	6	0.5%
დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ	5	0.4%
დანაშაული დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ	4	0.3%
დანაშაული საკუთრების, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	4	0.3%
დანაშაული მმართველობის წესის, სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ	3	0.3%
დანაშაული საკუთრების, ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	3	0.3%
დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ	3	0.3%
დანაშაული საკუთრების, მმართველობის წესის წინააღმდეგ	3	0.3%
დანაშაული საკუთრების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	2	0.2%
დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	2	0.2%
დანაშაული საკუთრების, დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ	2	0.2%

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, ნარკოდანაშაული	1	0.1%
დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ	1	0.1%
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, ნარკოდანაშაული	1	0.1%
დანაშაული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, სატრანსპორტო დანაშაული	1	0.1%
დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ტერორიზმი	1	0.1%
დანაშაული სიცოცხლის, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის, მმართველობის წესის წინააღმდეგ	1	0.1%
დანაშაული ჯანმრთელობის, სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ	1	0.1%
ნარკოტიკული დანაშაული და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	1	0.1%
დანაშაული საკუთრების ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ	1	0.1%
დანაშაული მმართველობის წინააღმდეგ, კიბერდანაშაული	1	0.1%
დანაშაული საკუთრების, სასამართლო ორგანოების საქმიანობის წესის წინააღმდეგ	1	0.1%

როგორც ვხედავთ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემდეგ, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მეორე ადგილზეა.

საინტერესოა, დანაშაულის სახეების ანალიზი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკის მიხედვითაც.

დანაშაულის სახე	ასაკი	რაოდენობა
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	14 წლის	141
	15 წლის	226
	16 წლის	211
	17 წლის	218
დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	14 წლის	33
	15 წლის	45
	16 წლის	40
	17 წლის	47
დანაშაული საკუთრების, ჯანმრთელობის წინააღმდეგ	14 წლის	6
	15 წლის	7
	16 წლის	5
	17 წლის	7
კიბერდანაშაული	14 წლის	3
	15 წლის	7
	16 წლის	7
	17 წლის	6
დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	14 წლის	9
	15 წლის	9
	17 წლის	3
სატრანსპორტო დანაშაული	16 წლის	4
	17 წლის	12
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ და კიბერდანაშაული	14 წლის	3

	15 წლის	4
	16 წლის	5
	17 წლის	3
დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	14 წლის	1
	15 წლის	1
	16 წლის	3
	17 წლის	8
დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ	14 წლის	1
	16 წლის	3
	17 წლის	7
დანაშაული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	14 წლის	2
	15 წლის	3
	17 წლის	5
ნარკოტიკული დანაშაული	15 წლის	2
	17 წლის	7
დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ	14 წლის	2
	16 წლის	2
	17 წლის	2
დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ	14 წლის	2
	15 წლის	1
	16 წლის	1
	17 წლის	2
დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ	14 წლის	1
	15 წლის	2
	17 წლის	3
დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ	14 წლის	2
	16 წლის	2
	17 წლის	1
დანაშაული დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ	15 წლის	1
	16 წლის	1
	17 წლის	2
დანაშაული საკუთრების, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	15 წლის	1
	17 წლის	3
დანაშაული მმართველობის წესის, სასამართლო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ	14 წლის	1
	15 წლის	1
	16 წლის	1
დანაშაული საკუთრების, ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	16 წლის	1
	17 წლის	2
დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ	14 წლის	1
	16 წლის	1
	17 წლის	1
დანაშაული საკუთრების, მმართველობის წესის წინააღმდეგ	14 წლის	1
	15 წლის	1
	16 წლის	1

დანაშაული საკუთრების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	16 წლის	1
	17 წლის	1
დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	15 წლის	1
	16 წლის	1
დანაშაული საკუთრების, დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ	14 წლის	1
	15 წლის	1
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, ნარკოდანაშაული	17 წლის	1
დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ	17 წლის	1
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ, ნარკოდანაშაული	17 წლის	1
დანაშაული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, სატრანსპორტო დანაშაული	17 წლის	1
დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ტერორიზმი	14 წლის	1
დანაშაული სიცოცხლის, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის, მმართველობის წესის წინააღმდეგ	16 წლის	1
დანაშაული ჯანმრთელობის, სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ	17 წლის	1
ნარკოტიკული დანაშაული და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	17 წლის	1
დანაშაული საკუთრების ჯანმრთელობის, ადამიანის უფლბებებისა და თავისუფლებების, სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ	17 წლის	1
დანაშაული მმართველობის წინააღმდეგ, კიბერდანაშაული	15 წლის	1
დანაშაული საკუთრების, სასამართლო ორგანოების საქმიანობის წესის წინააღმდეგ	17 წლის	1

როგორც ცხრილიდანაც ირკვევა, ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულებთან მიმართებაშიც, 14-15 წლის არასრულწლოვნებთან შედარებით, 16-17 წლის მოზარდებში შეინიშნება დანაშაულის ჩადენის მატების ტენდენცია.

4. განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახური მდგომარეობა, არასრულწლოვნის ქცევისადმი ოჯახის წევრების დამოკიდებულება

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევებში პროკურატურა ყოველთვის აანალიზებს არასრულწლოვნის ოჯახურ გარემოს, რადგან, როგორც წინა კვლევებშიც აღვნიშნეთ, არასრულწლოვნის ქცევის შეფასების პროცესში, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებისას, ყოველთვის დიდი ყურადღება ექცევა არასრულწლოვნის ოჯახური გარემოს შესწავლას, ვინაიდან არასრულწლოვნის ფსიქოემოციურ მდგომარეობასა და ქცევის ჩამოყალიბებაზე ოჯახის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს ყველა სპეციალისტი. ოჯახი არის ის სივრცე, რომელიც ქმნის ბავშვის სწორი განვითარებისთვის მიკროკლიმატს. სწორედ ოჯახში ხდება ბავშვის სოციალური უნარების ჩამოყალიბება.

ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული მახასიათებლების სტატისტიკური მონაცემების განხილვამდე, მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ შევაფასოთ ოჯახური გარემოს როლი კრიმინოლოგიური თვალსაზრისით.

სოციოლოგები და ფსიქოლოგები ცალსახად მიუთითებენ, რომ ოჯახურ გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვნის სწორად სოციალიზაციის, პიროვნული ღირებულებებისა და სამომავლო მისწრაფებების ჩამოყალიბების პროცესში. ოჯახური ურთიერთობის დროს ადამიანები სოციალურ, ემოციურ და საკომუნიკაციო კომპონენტებს სწავლობენ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მათ შემდგომ განვითარებაში. ბავშვსა და ოჯახის წევრებს შორის არსებული ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური კავშირები, ცხადია, გადამწყვეტია არასრულწლოვნის განვითარებისთვის. სწორედ ამიტომ, ბავშვებისა და მოზარდების ურთიერთობა ოჯახთან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ანტისოციალური ქცევის განვითარებასა და დანაშაულის ჩადენაზე.[12] ზემოაღნიშნული გარემოებების გამო სპეციალისტები ოჯახს ბავშვის განვითარებისთვის „კრიტიკულ“ ელემენტად და მისი შემდგომი დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილების განმსაზღვრელ ფაქტორად განიხილავენ.[13]

კრიმინოლოგთა აზრით, „ადამიანი პიროვნული განვითარების პროცესში ოჯახიდან იღებს მნიშვნელოვან იმპულსებს. ბავშვზე გავლენას ახდენს ოჯახური ატმოსფერო, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები. ოჯახს მრავალი ფუნქცია და მოვალეობა აკისრია ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. ხშირად ოჯახს უჭირს ყველა ამ ვალდებულების შესრულება, შედეგად კი ვიღებთ კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდებს. ოჯახის სტრუქტურა და ფუნქციონირება, რაც გულისხმობს დამოკიდებულებას ოჯახის წევრებს შორის, არის ოჯახთან დაკავშირებული ის ორი ძირითადი კატეგორია, რაც გავლენას ახდენს მოზარდის დანაშაულებრივ ქცევაზე. მიუთითებენ იმასაც, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო მშობლებთან ურთიერთობა, არამედ ოჯახის შემადგენლობაც, არასრული ოჯახის ფენომენი და ა.შ.“[14] არასრულწლოვანთა დანაშაულის მიზეზების ანალიზისას ფსიქოლოგები ხშირად აღნიშნავენ, რომ მოზარდთა დანაშაულის ზრდას შესაძლებელია ხელს უწყობდეს ოჯახის არასტაბილურობა,

[12] Institute of Medicine and National Research Council. 2001. Juvenile Crime, Juvenile Justice. Washington, DC: The National Academies Press. doi: https://doi.org/10.17226/9747

[13] Rosemary Kakonzi Mwangangi. The Role of Family in Dealing with Juvenile Delinquency. Juvenile Justice, University of Geneva, Geneva, Switzerland. 2019// https://www.scirp.org/journal/paperinformation.aspx?paperid=90991

[14] მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო). თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი. 2016 წ. 22-24 გვ.

ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება. აგრესიით ხშირად გამოირჩევიან ბავშვები ასოციალური ოჯახებიდან. ზოგიერთი კვლევა ხედავს კავშირს მოზარდის დანაშაულებრივ ქცევასა და განქორწინებულ ოჯახს შორის. არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც დანაშაულებრივი ქცევა ხშირია ისეთ მოზარდებში, რომელთაც ახალგაზრდა მშობლები ჰყავთ.[15] ამასთან, გარემო ხშირად ეხმარება არასრულწლოვანს ასაკობრივი თავისებურებებით გამოწვეული სირთულეების დაძლევაში. მშობლებისა და ზრდასრულების გავლენა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის დანაშაულს. როდესაც მშობელი ან სხვა ზრდასრული ურთიერთობს ბავშვთან და აჩვენებს, რა არის მისაღები და რა ითვლება არასწორად, ბავშვი უფრო მეტად იქცევა ისე, რომ მისი ქცევა არ იყოს ანტისოციალური. ბავშვის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სწორი ღირებულებების მქონე ზრდასრულთან ურთიერთობა, რომელიც გავლენას მოახდენს მის ქმედებებზე და აჩვენებს განსხვავებას რა არის სწორი და რა არის არასწორი.[16] ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კრიმინოლოგიური კვლევების დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა არასრულწლოვანთა ოჯახურ მდგომარეობას, აღზრდის წესებს, მშობლებს შორის ურთიერთობას. კრიმინოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ ოჯახურ მდგომარეობასა და მოგვიანებით პირის მიერ დანაშაულის ჩადენას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვს.

ზემოაღნიშნული საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალურ შეფასებებში ასახული ინფორმაციის საფუძველზე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, შემდეგი ინფორმაციის ანალიზი ხდება: ჰყავს თუ არა არასრულწლოვანს მშობლები; ცხოვრობს თუ არა არასრულწლოვანი მშობლებთან; რა არის მშობელთა არყოლის მიზეზი; ვისთან ერთად უწევს ბავშვს ცხოვრება; როგორია განქორწინების მაჩვენებელი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახებში; ხომ არ დგინდება ოჯახის წევრთა დანაშაულებრივი ქცევა; როგორია ოჯახის წევრების დამოკიდებულება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე.

ინდივიდუალურ შეფასებებში ასახული ინფორმაციის საფუძველზე, პირველ რიგში, განისაზღვრა განრიდებულ არასრულწლოვანთაგან რამდენს ჰყავდა ორივე მშობელი, ჰყავდა მხოლოდ დედა/მამა, ან არ ჰყავდა არცერთი. მონაცემთა ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ 2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან ორივე მშობელი ჰყავდა 604 ბავშვს (89,6%), მხოლოდ ერთი მშობელი ჰყავდა 68 (10,1%) არასრულწლოვანს, ხოლო 2 არასრულწლოვანს (0,3%) არცერთი მშობელი არ ჰყავდა.

მშობელთა ყოლის ფაქტი



[15] http://phf.org.ge/ka/resources/mozardta-agresiuli-qceva/
[16] https://baysingerlaw.com/2018/03/factors-contributing-juvenile-delinquency/

იმ 2 არასრულწლოვნიდან, რომლებსაც არცერთი მშობელი არ ჰყავდა, მშობლების არყოლის მიზეზი ორივე შემთხვევაში მშობლების გარდაცვალება იყო. იმ 68 არასრულწლოვნიდან კი, რომლებსაც მხოლოდ 1 მშობელი ჰყავდა, მშობლის არყოლის მიზეზები შემდეგია:

ჰყავს 1 მშობელი -
მშობლის არყოლის მიზეზი



წინა წლების მსგავსად, განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახური გარემოს შესწავლისას სტატისტიკური მონაცემების ანალიზით იკვეთება, რომ, მართალია, არასრულწლოვანთა უმრავლესობას ჰყავს ორივე მშობელი, მაგრამ მათი დიდი ნაწილი არ ცხოვრობს ორივე მშობელთან. კერძოდ, ინდივიდუალურ შეფასებაში ასახული ინფორმაციის თანახმად, განრიდებულ არასრულწლოვანთა 89.6%-ს ჰყავს ორივე მშობელი, მაგრამ მათი 45.8% არ ცხოვრობს ორივე მშობელთან. არასრულწლოვანთა დიდ ნაწილს მშობლების განქორწინების ან მშობელთა ემიგრაციის გამო ცხოვრება მხოლოდ ერთ მშობელთან, ბებია-ბაბუასთან ან სხვა ნათესავთან უწევს.

არასრულწლოვანთა თანაცხოვრება მშობლებთან



არასრულწლოვანთა ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული სხვა გარემოებები კი შემდეგია:

- 2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან, 130 მოზარდის მშობლები განქორწინებულები იყვნენ, ანუ, **მშობელთა განქორწინების მაჩვენებელმა 19% შეადგინა.**

- საყურადღებოა არასრულწლოვანთა მშობლების ემიგრაციის მაჩვენებელიც. 2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან, **138 არასრულწლოვნის (20.5%) ორივე ან ერთ-ერთი მშობელი საზღვარგარეთ იმყოფება, საიდანაც 19 არასრულწლოვნის ორივე მშობელი, 70 არასრულწლოვნის დედა, ხოლო 49 არასრულწლოვნის მამა იმყოფება საზღვარგარეთ.**

- **აღსანიშნავია, რომ 13%-ის შემთხვევაში დაფიქსირდა არასრულწლოვნის ოჯახის წევრის წარსულში დანაშაულებრივი გამოცდილების ფაქტი.** კერძოდ, 674 არასრულწლოვნიდან, 90 არასრულწლოვნის ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრი წარსულში ნასამართლევია, მათ შორის, ნასამართლევია 58 არასრულწლოვნის მამა, 4 არასრულწლოვნის დედა, 27 არასრულწლოვნის ოჯახის სხვა წევრი, ხოლო 1 არასრულწლოვნის ოჯახის რამდენიმე წევრი.

- **არასრულწლოვანთა 98%-ის (660) შემთხვევაში მათი ოჯახის წევრები არასრულწლოვნის ქცევას უარყოფითად აფასებდნენ,** ხოლო არასრულწლოვანთა **2%-ში (14)** არასრულწლოვნის ქცევისადმი ოჯახის წევრების დამოკიდებულება ნეიტრალური იყო.

5. განრიდებულ არასრულწლოვანთა საცხოვრებელი და ეკონომიკური პირობები

კრიმინოლოგიური ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სოციალური გარემოს და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა. სწორედ ამიტომ, კვლევის ფარგლებში, ინდივიდუალურ შეფასებებში ასახული ინფორმაცია არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ჭრილშიც ანალიზდება. კერძოდ, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების ანალიზის დროს, მუშავდება ისეთი ინფორმაცია, როგორიც არის: კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ოჯახის წევრების დასაქმება, ოჯახის შემოსავალი რამდენად საკმარისია ოჯახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როგორია საცხოვრებელი პირობები.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახის წევრების ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, პირველ რიგში მოხდა არასრულწლოვანთა მშობლების დასაქმების მდგომარეობის შესწავლა. მონაცემების თანახმად:

- დასაქმებულია 321 (48%) განრიდებული არასრულწლოვნის ორივე მშობელი, საიდანაც 72 (22%) არასრულწლოვნის ორივე ან ერთი მშობელი ემიგრაციაშია;
- 167 (25%) არასრულწლოვნის მხოლოდ მამაა დასაქმებული, საიდანაც 20 (12%) არასრულწლოვნის მამა იმყოფება ემიგრაციაში;
- 131 (19%) არასრულწლოვნის მხოლოდ დედაა დასაქმებული, საიდანაც 27 (21%) არასრულწლოვნის დედა იმყოფება ემიგრაციაში.

დასაქმების მაჩვენებელთან ერთად მნიშვნელოვანია ინფორმაცია, რამდენად საკმარისია ოჯახის შემოსავალი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ **ძალიან დაბალია იმ ოჯახთა მაჩვენებელი (5,9%), რომელთაც დამატებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლიათ.** ოჯახის ძირითადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად შემოსავალი საკმარისი იყო **53,4%-ის შემთხვევაში. 37,3%-ის შემთხვევაში განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების შემოსავალი მხოლოდ პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა, ხოლო 3,4%-ის შემთხვევაში პირველადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც არ იყო საკმარისი.**

არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა



საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ეკონომიკური მდგომარეობის გავლენის შეფასების მიზნით, კვლევის ფარგლებში, ცალკე ხდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაანალიზება. უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის მსგავსად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა ფაქტობრივად ზოგადი მაჩვენებლის - სულ განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის იდენტურია.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის საერთო მაჩვენებლის შეფარდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობასთან



იმ არასრულწლოვანთა მიერ, რომელთა ოჯახების შემოსავალი მხოლოდ პირველადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის საკმარისი ან საერთოდ არ არის საკმარისი პირველადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც კი, 69% შემთხვევაში ჩადენილ იქნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. აღნიშნულ შემთხვევაშიც, საერთო მონაცემთან მიმართებით, მკვეთრი მატების ტენდენცია არ ფიქსირდება.

არასრულწლოვანთა დანაშაულზე ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გავლენის გარკვევის მიზნით, ასევე გაანალიზდა, როგორი იყო იმ არასრულწლოვანთა ოჯახების შემოსავალი, რომელთაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული არ ჩაუდენიათ. აღნიშნული მაჩვენებლის თანაფარდობა იმ არასრულწლოვანთა ოჯახების შემოსავალთან, რომლებსაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ჰქონდათ ჩადენილი, შემდეგია:

საკუთრების წინააღმდეგ და სხვა დანაშაულთა ჩამდენ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა



ზემოაღნიშნული მონაცემების თანახმად, ოჯახის შემოსავალი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის სახესთან კავშირში, როგორც ეკონომიკური დანაშაულის გამომწვევი გარემოება, ნაკლებად შეიძლება იქნეს განხილული, რადგან ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მრუდი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და სხვა დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების მიმართ, ფაქტობრივად თანაბარია.

6. განრიდებულ არასრულწლოვანთა განათლება და სამუშაო გამოცდილება

ბავშვის ჩამოყალიბების პროცესში ოჯახთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასკოლო გარემო. შესაბამისად, ოჯახთან ერთად არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზაციის ისეთ ინსტიტუციას, როგორიც არის საგანმანათლებლო დაწესებულება, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვი დროის 20-30%-ს ატარებს. შესაბამისად, სკოლა თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება, ცოდნის მიცემასთან ერთად, ბავშვის აღზრდა-განვითარებასაც უზრუნველყოფს.[17]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა განათლებისა და სხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაანალიზებას. ასევე, კვლევის ფარგლებში, ყოველწლიურად მუშავდება ინფორმაცია, თუ რამდენად დაკავებულნი არიან არასრულწლოვნები ფორმალური განათლების მიღების მიღმა და როგორ მართავენ თავისუფალ დროს; აქვთ თუ არა სამუშაო გამოცდილება და მომავალში განათლების მიღების მზაობა.

2024 წლის მონაცემების თანახმად, განრიდებულ არასრულწლოვანთა 19% განრიდების პროცედურების განხორციელების დაწყების ეტაპზე განათლებას არ იღებდა.

განრიდებულ არასრულწლოვანთა განათლების შესახებ დეტალური ინფორმაცია შემდეგია:



ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, განრიდებულ არასრულწლოვანთა დაახლოებით 70-75% საჯარო სკოლაში სწავლობს. 2024 წელსაც განრიდებულ არასრულწლოვანთა 74.6% საჯარო სკოლაში იღებდა საშუალო განათლებას, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. შესაბამისად, კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება რელევანტური უწყებ(ებ)ის მიერ საჯარო სკოლებში პრევენციული ღონისძიებების გააქტიურება.

[17] Aaron Chalfin, Monica Deza. The Intergenerational Effects of Education on Delinquency// http://econ.hunter.cuny.edu/wp-content/uploads/2017/01/Chalfin_Deza_compulsory2016.pdf;
The Impact of Education on Juvenile Delinquency and its Global Economic Implications. Challenges and Problems//Conference: 11-th International Conference on Engineering Education (EDUCATION '15), ISI - Thomson Reuters proceedings, Salerno, Italy, June 27-29, 2015// https://www.researchgate.net/publication/280088014_The_Impact_of_Education_on_Juvenile_Delinquency_and_its_Global_Economic_Implications_Challenges_and_Problems

საყურადღებოა ინფორმაცია იმ არასრულწლოვანთა შესახებაც, რომლებიც განრიდების ეტაპისთვის ფორმალურ განათლებას არ იღებდნენ.

იმ 130 ბავშვიდან, რომლებიც განათლებას ინდივიდუალური შეფასების განხორციელების დროისთვის არ იღებდნენ, **სრული საშუალო განათლება 41 (31.5%) არასრულწლოვანს აქვს მიღებული,** დანარჩენი 89 (68,5%) ბავშვიდან 71 (54,6%) არასრულწლოვანს მიღებული ჰქონდა 9 კლასის განათლება, 11 (8.5%) არასრულწლოვანმა განათლების მიღება 9 კლასის დასრულებამდე შეწყვიტა და საშუალო განათლების საბაზისო განათლების საფეხურიც არ დაუსრულებია, 6-მა (4,6%) არასრულწლოვანმა სწავლა მე-10-მე-11 კლასში შეწყვიტა, ხოლო 1 (0.8%) არასრულწლოვანს სკოლაში საერთოდ არ უვლია.

არასრულწლოვანთა განათლება



იმ არასრულწლოვნებთან მიმართებით, რომლებიც განათლებას საჯარო/კერძო სკოლაში ან პროფესიულ სასწავლებელში იღებდნენ, გაანალიზდა აკადემიური მოსწრების დონე და ყოფაქცევა. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა უმრავლესობის აკადემიური მოსწრება შეფასებულია როგორც კარგი. კერძოდ, 544 არასრულწლოვნიდან 419-ის აკადემიური მოსწრება იყო კარგი, 16-ის - დამაკმაყოფილებელი, ხოლო 109 არასრულწლოვნის აკადემიური მოსწრება - არადამაკმაყოფილებელი. **ამდენად, იმ არასრულწლოვანთა შორის, რომლებიც შეფასების ეტაპზე განათლებას იღებდნენ, აკადემიური მოსწრებასთან დაკავშირებული სირთულეები 20% შემთხვევაში დაფიქსირდა.** აღნიშნული არასრულწლოვნებიდან 229 (42%) არასრულწლოვნის ყოფაქცევა შეფასებულია როგორც კარგი, 300 (55%) არასრულწლოვნის - როგორც დამაკმაყოფილებელი, ხოლო 15 (3%) არასრულწლოვნის - როგორც არადამაკმაყოფილებელი.

არასრულწლოვანთა აკადემიური მოსწრება და ყოფაქცევა



კვლევის განხორციელების პროცესში, არასრულწლოვანთა განათლებასა და დამატებით აქტივობებთან მიმართებით შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები გამოიკვეთა:

- ⇨ კვლევის განხორციელების დროს, ინდივიდუალური შეფასებების შესწავლის საფუძველზე, **წერა-კითხვასთან დაკავშირებული პრობლემები 8 (1%) არასრულწლოვანთან გამოიკვეთა.**
- ⇨ მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ განრიდებულ **არასრულწლოვანთა 53% (356 არასრულწლოვანი) არ არის დაკავებული დამატებითი აქტივობით.**
- ⇨ კვლევის ფარგლებში, არასრულწლოვანთა მნიშვნელოვან დამცავ ფაქტორად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ განრიდებულ არასრულწლოვანთა **75% გამოთქვამს მზაობას სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებით.** კერძოდ, ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას სოციალური მუშაკის შეკითხვას, სურს თუ არა გააგრძელოს სწავლა მომავალში, 674 არასრულწლოვნიდან დადებითად უპასუხა 503 არასრულწლოვანმა. თუმცა, **25% შემთხვევაში არასრულწლოვანთა მიერ სწავლის გაგრძელებაზე მზაობა არ იქნა გამოხატული.**

ცალკე გაანალიზდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დასაქმების მაჩვენებელი. მონაცემების ანალიზის მიხედვით, 674 არასრულწლოვნიდან 247 (37%) არასრულწლოვანს ჰქონდა სამუშაო გამოცდილება, საიდანაც 160 არასრულწლოვანი პარალელურად სწავლობდა. ამდენად, **დასაქმებულ არასრულწლოვანთა 65%-ს სწავლისა და სამუშაოს შეთავსება უწევს.**

სამუშაო გამოცდილება



7. განრიდებულ არასრულწლოვანთა ქცევითი თავისებურებები, მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება და ძალადობრივი ქცევის გამოცდილება

კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ქცევითი თავისებურებებისა და მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების შესახებ მონაცემები.

აღნიშნული მონაცემების გაანალიზებისას, იშვიათ შემთხვევებში, გამოვლინდა ისეთი პრობლემები, როგორიც არის დადებითი კომუნიკაციის უნარების არქონა, აზროვნების, ყურადღებისა და მეხსიერების სირთულეები. კერძოდ, 2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან:

- **დადებითი კომუნიკაციის უნარების არქონა** დაფიქსირდა **36 (5%)** არასრულწლოვანთან.
- **ყურადღების პრობლემები** ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას დაფიქსირდა **15 (2%)** არასრულწლოვანთან.
- **მეხსიერების პრობლემებთან** დაკავშირებით შეფასების განმახორციელებელმა პირმა **7 (1%)** არასრულწლოვანთან მიმართებით მიუთითა.
- **აზროვნების (გაანალიზება, ფაქტების დაკავშირება) სირთულეები 5** (1%) არასრულწლოვანთან მიმართებით გამოვლინდა.
- **თვითკონტროლის უნარის არქონაზე 46 (7%) არასრულწლოვნის მიმართ იქნა აღნიშნული,** მაგრამ საკმაოდ ბევრ არასრულწლოვანთან მიმართებაში, 373 **არასრულწლოვნის შეფასებისას (55%) სოციალურმა მუშაკმა მიუთითა, რომ მას უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე: აქვს თუ არა არასრულწლოვანს თვითკონტროლის უნარი.**
- **43 (6%) არასრულწლოვანს სხვადასხვა სახის ქცევითი თავისებურებები, ხოლო 18 (3%) არასრულწლოვანს დესტრუქციული ქცევები** გამოუვლინდა.
- **52 (8%)** არასრულწლოვანი **ალკოჰოლზე** იყო დამოკიდებული.
- **ნარკოტიკულ ნივთიერებებზე** დამოკიდებულება **24 (4%)** არასრულწლოვანთან გამოვლინდა, საიდანაც **9 (1%)** არასრულწლოვანი დამოკიდებული იყო როგორც **ალკოჰოლურ, ისე ნარკოტიკულ ნივთიერებებზე.**
- **7 (1%)** არასრულწლოვნის **აზარტულ თამაშებზე,** ხოლო **39 (6%)** არასრულწლოვნის **კომპიუტერულ თამაშებზე** დამოკიდებულება დაფიქსირდა.

დანაშაულის გაცნობიერება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, თუმცა, აღნიშნული საკითხი კრიმინოლოგიური კუთხითაც მნიშვნელოვანია. არასრულწლოვნის განწყობები და დამოკიდებულებები, ჩადენილი ქმედების გაცნობიერების და პასუხისმგებლობის გააზრების დაბალი დონე, დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილების ერთ-ერთ რისკფაქტორს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, დანაშაულის გაცნობიერების და პასუხისმგებლობის გააზრების საკითხი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ **394 (59%) არასრულწლოვანი სრულად აცნობიერებდა ჩადენილ დანაშაულს**, თუმცა, ინდივიდუალურ შეფასებაში სოციალური მუშაკის მიერ მითითებული ინფორმაციის თანახმად, **265 (39%) არასრულწლოვანი ნაწილობრივ, ხოლო 15 (2%) არასრულწლოვანი საერთოდ ვერ აცნობიერებდა ჩადენილ ქმედებას.**

რაც შეეხება ჩადენილ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღებას, **674 არასრულწლოვნიდან 374-მა (56%) არასრულწლოვანმა აღნიშნა, რომ სრულად იღებდა პასუხისმგებლობას ჩადენილ ქმედებაზე, 285 (42%) არასრულწლოვანი ნაწილობრივ აცნობიერებდა პასუხისმგებლობას**, ხოლო **15-მა (2%) არასრულწლოვანმა მიუთითა, რომ საერთოდ არ იღებდა პასუხისმგებლობას მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე.**

დანაშაულის გაცნობიერება და პასუხისმგებლობის გააზრება



დანაშაულის გაცნობიერებასა და საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღებაზე გავლენას მრავალ ფაქტორთა შორის საზოგადოებაში არასრულწლოვნის სოციალიზაცია, საზოგადოებისადმი დამოკიდებულებები და თანატოლებთან ურთიერთობები განაპირობებს, რადგან არასრულწლოვანთა დამოკიდებულება საზოგადოებისადმი და თანატოლებთან სწორი ურთიერთობები განაპირობებს მათ ეფექტიან ინტეგრაციას სოციუმში.

არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი მიზეზი შესაძლებელია საზოგადოებისგან მათი გაუცხოება გახდეს. არასრულწლოვნები ხშირად საზოგადოებისა და თანატოლებისგან გარიყულად გრძნობენ თავს, მათი დანაშაულებრივი ქცევა კი, პროტესტის გამოხატულებაა გარე სამყაროს მიმართ, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელია ართულებდეს დანაშაულის გაცნობიერებას.

არასრულწლოვნები, რომელთა ქცევაში პროტესტი ანტისოციალურ ხასიათს იღებს, ხშირად მიუთითებენ, რომ მათი ქცევა სამართლიანია და უჭირთ პასუხისმგებლობის გააზრება.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მუშაობისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არასრულწლოვნის შეხედულებას, თუ როგორ აფასებს ის საზოგადოების მისდამი დამოკიდებულებას და როგორია მისი ურთიერთობები თანატოლებთან. შესაბამისად, კრიმინოლოგიური მიზნებისთვის, მონაცემები გაანალიზდა ამ მიმართულებითაც.

არასრულწლოვანთა უმრავლესობა საზოგადოების მის მიმართ დამოკიდებულებას დადებითად აფასებს. 674 არასრულწლოვნიდან **642 (95%) ფიქრობს, რომ საზოგადოება მის მიმართ დადებითად არის განწყობილი**. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ არ უგრძნიათ საზოგადოებისგან ნეგატიური განწყობები, ხოლო **32 (5%) არასრულწლოვანი ფიქრობს, რომ საზოგადოება მის**

მიმართ ნეიტრალურად არის განწყობილი. საზოგადოების მხრიდან უარყოფით დამოკიდებულებაზე არცერთი არასრულწლოვანი არ მიუთითებდა.

ინდივიდუალური შეფასების განხორციელების ეტაპზე, არასრულწლოვანთა უმრავლესობა არ ასახელებს თანატოლებთან ურთიერთობის სირთულეებს და მათთან კომუნიკაციას დადებითად აფასებს. 674 არასრულწლოვნიდან **თანატოლებთან კომუნიკაციას 640 (95%) აფასებს დადებითად, 29 (4%) - ნეიტრალურად, ხოლო 3 (1%) - უარყოფითად.**

საზოგადოების დამოკიდებულების აღქმა და თანატოლებთან ურთიერთობა



არასრულწლოვანთა ქცევით თავისებურებებს შესაძლოა ჰქონდეს მრავალი წინაპირობა. ერთ-ერთ ასეთ წინაპირობას არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ძალადობა წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ ძალადობა ოჯახში, სკოლასა თუ იმ გარემოში, სადაც მოზარდი ცხოვრობს, დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ანტისოციალური ქცევის ჩამოყალიბებასა და დანაშაულის ჩადენაზე, რადგან ძალადობა ბავშვისთვის მატრავმირებელი ქცევაა. ძალადობას ყოველთვის თან ახლავს პირადი ღირსების შეურაცხყოფა. ის შეიძლება გამოვლინდეს მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი საკუთრების ხელყოფით, საჯარო შეურაცხყოფით ან სექსუალური ექსპლუატაციით.[18]

არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების განხორციელების ეტაპზე, **84 (13%) არასრულწლოვნის მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტი დადასტურდა.** სოციალური მუშაკის შეფასების თანახმად, **ძალადობის შესახებ ეჭვი 29 (4%) არასრულწლოვნის მიმართ არსებობდა, ხოლო 561 (83%) არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.**

არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები



[18] http://phf.org.ge/ka/resources/dzaladoba-bavshvze/

არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის შესახებ დეტალური ინფორმაცია შემდეგია:

არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შესახებ მონაცემები ძალადობის სახის მიხედვით



თავად არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტებთან მიმართებით გამოიკვეთა შემდეგი: 674 არასრულწლოვნიდან **452 პირს (67%) არ ჰქონდა ძალადობრივი ქცევის გამოცდილება, 215 (32%) არასრულწლოვანს ჰქონდა სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქცევის გამოცდილება,** ხოლო **7 (1%) არასრულწლოვნის მიმართ არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა ჰქონოდა სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქცევის გამოცდილება.**

არასრულწლოვნის მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტები



კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევის ფარგლებში, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სტატისტიკური მონაცემები და განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების ანალიზი იძლევა მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებით გამოკვეთილი საკითხები სცდება მართლმსაჯულების სფეროს და არასრულწლოვნებთან შემხებლობაში მყოფი უწყებების კოორდინირებული საქმიანობის აუცილებლობაზე მიუთითებს - განსაკუთრებით საგანმანათლებლო, სოციალური და პრევენციული მიმართულებით.

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილი კვლევა არ აკეთებს კრიმინოლოგიურ დასკვნებს. ის გვაწვდის კრიმინოლოგიური კუთხით საინტერესო ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც შესაბამისი კრიმინოლოგიური დასკვნების გაკეთება სპეციალისტებმა უნდა მოახდინონ.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სტატისტიკური მონაცემებისა და განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალურ შეფასებებში ასახული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები შემდეგია:

არასრულწლოვანთა დანაშაულის გეოგრაფიული გადანაწილება

- 2024 წლის მონაცემებით, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა არის 1164, რაც, 2023 წელთან შედარებით, მომატებულია. 2023 წელს ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი 1010 იყო.
- 2024 წლის მონაცემებით, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (37%) თბილისში დაფიქსირდა, ხოლო რეგიონებში არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დასავლეთში (15%), ხოლო ყველაზე დაბალი - სამცხე-ჯავახეთის (4%) რეგიონში ფიქსირდება.
- 2024 წლის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით, ყოველ 1000 მოსახლეზე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა კოეფიციენტი არის 0,32. 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი იყო 0,15, 2021 წელს - 0,16, 2022 წელს - 0,25, ხოლო 2023 წელს - 0,27.
- 2024 წელს, გასულ წლებთან შედარებით, ყოველ 1000 მოსახლეზე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი დასავლეთში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და ქვემო ქართლში მომატებულია. წლების მიხედვით მატების ტენდენცია ფიქსირდება შიდა ქართლის რეგიონშიც.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ასაკი

- 2024 წელს ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან 211 პირს (18%) დანაშაული 14 წლის ასაკში, 314 პირს (27%) - 15 წლის ასაკში, 291 პირს (25%) - 16 წლის ასაკში, ხოლო 348 პირს (30%) - 17 წლის ასაკში ჰქონდა ჩადენილი. ამდენად, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის

მონაცემები დინამიკაში ადასტურებს, რომ 14 წლიდან დანაშაულებრივი ქცევისადმი მიდრეკილება მზარდია.

– 2024 წელს, სულ განრიდებული და ბრალდებული არასრულწლოვნიდან, 55%-ს დანაშაული 16-17 წლის ასაკში ჰქონდა ჩადენილი. ამასთან, 17 წლის ასაკში დანაშაულის ჩადენის რაოდენობრივი მაჩვენებელი დაახლოებით 1,6-ჯერ აღემატება 14 წლის ასაკში დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელს.

არასრულწლოვნებში გავრცელებული დანაშაულები

– 2024 წლის სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა 68,4%-ს სწორედ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული არაძალადობრივი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი.

– არასრულწლოვანთა დანაშაულებში, 2021-2023 წლების მსგავსად, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები 2024 წელსაც მეორე ადგილს იკავებს.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახური მდგომარეობა

2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან:

– 89,6 %-ს ორივე მშობელი ჰყავდა, 10,1%-ს მხოლოდ 1 მშობელი, ხოლო 0,3%-ს არცერთი მშობელი არ ჰყავდა.

– ორივე მშობლის ყოლის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, განრიდებულ არასრულწლოვანთა მხოლოდ 54,2% ცხოვრობს ორივე მშობელთან.

– 130 მოზარდის მშობლები განქორწინებული იყვნენ, ანუ მშობელთა განქორწინების მაჩვენებელმა 19% შეადგინა.

– 138 (20,5%) არასრულწლოვნის ორივე ან ერთ-ერთი მშობელი იმყოფება საზღვარგარეთ.

– 90 (13%) არასრულწლოვნის შემთხვევაში ოჯახის წევრი წარსულში იყო ნასამართლევი.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

- დასაქმებულია 321 (48%) განრიდებული არასრულწლოვნის ორივე მშობელი, საიდანაც 72 (22%) არასრულწლოვნის ორივე ან ერთი მშობელი ემიგრაციაშია. 167 (25%) არასრულწლოვნის მხოლოდ მამა არის დასაქმებული, საიდანაც 20 (12%) არასრულწლოვნის მამა იმყოფება ემიგრაციაში. 131 (19%) არასრულწლოვნის მხოლოდ დედა არის დასაქმებული, საიდანაც 27 (21%) არასრულწლოვნის დედა იმყოფება ემიგრაციაში.

- ძალიან დაბალია (5,9%) იმ ოჯახთა მაჩვენებელი, რომელთა შემოსავალი დამატებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა. ოჯახის ძირითადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად ოჯახის შემოსავალი საკმარისია 53,4% შემთხვევაში. განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების შემოსავალი 37,3% შემთხვევაში მხოლოდ პირველადი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა, ხოლო 3,4% შემთხვევაში პირველადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც არ იყო საკმარისი.

- ოჯახის შემოსავლის მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების ოჯახური მდგომარეობა ფაქტობრივად არ განსხვავდება, სულ განრიდებულ არასრულწლოვანთა ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობისგან. ასევე, ფაქტობრივად თანაბარია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის და სხვა დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა თანაფარდობა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

- იმ არასრულწლოვანთა მიერ, რომელთა ოჯახების შემოსავალი მხოლოდ პირველადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის საკმარისი ან საერთოდ არ არის საკმარისი პირველადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც კი, 69% შემთხვევაში ჩადენილი იქნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

განრიდებულ არასრულწლოვანთა განათლება და სამუშაო გამოცდილება

- 2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 74,6% საჯარო სკოლაში სწავლობდა.
- 2024 წლის მონაცემებით, ინდივიდუალური შეფასების განხორციელების ეტაპზე, 130 (19,3%) არასრულწლოვანი განათლებას არ იღებდა, საიდანაც სრული საშუალო განათლება 41 (31.5%) არასრულწლოვანს აქვს მიღებული, დანარჩენი 89 (68,5%) ბავშვიდან 71 (54,6%) არასრულწლოვანს მიღებული ჰქონდა 9 კლასის განათლება, 11 (8.5%) არასრულწლოვანმა განათლების მიღება 9 კლასის დასრულებამდე შეწყვიტა და საშუალო განათლების საბაზისო განათლების საფეხურიც არ დაუსრულებია, 6-მა (4,6%) არასრულწლოვანმა სწავლა მე-10-მე-11 კლასში შეწყვიტა, ხოლო 1 (0.8%) არასრულწლოვანს სკოლაში საერთოდ არ უვლია.
- არასრულწლოვანთა უმრავლესობის აკადემიური მოსწრება შეფასებულია როგორც კარგი. კერძოდ, 544 არასრულწლოვნიდან 419-ის აკადემიური მოსწრება იყო კარგი, 16-ის - დამაკმაყოფილებელი, ხოლო 109 არასრულწლოვნის აკადემიური მოსწრება არადამაკმაყოფილებელი იყო. ამდენად, იმ არასრულწლოვანთა შორის, რომლებიც შეფასების ეტაპზე განათლებას იღებდნენ, აკადემიური მოსწრებასთან დაკავშირებული სირთულეები 20% შემთხვევაში დაფიქსირდა.
- ინდივიდუალურ შეფასებაში ასახული ინფორმაციის თანახმად, 229 (42%) არასრულწლოვნის ყოფაქცევა შეფასებულია როგორც კარგი, 300 (55%) არასრულწლოვნის - როგორც დამაკმაყოფილებელი, ხოლო 15 (3%) არასრულწლოვნის - როგორც არადამაკმაყოფილებელი.
- კვლევამ აჩვენა, რომ განრიდებულ არასრულწლოვანთა 53% (356 არასრულწლოვანი) არ არის დაკავებული დამატებითი აქტივობით.
- მონაცემების ანალიზის თანახმად, 674 არასრულწლოვნიდან 247 (37%) არასრულწლოვანს ჰქონდა სამუშაო გამოცდილება, საიდანაც 160 არასრულწლოვანი სწავლობს. ამდენად, დასაქმებულ არასრულწლოვანთა 65%-ს სწავლისა და სამუშაოს შეთავსება უწევს.

განრიდებულ არასრულწლოვანთა ქცევითი თავისებურებები და მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება

- დადებითი კომუნიკაციის უნარების არქონა დაფიქსირდა 36 (5%) არასრულწლოვანთან.
- ყურადღების პრობლემები, ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას, დაფიქსირდა 15 (2%) არასრულწლოვანთან.
- მეხსიერების პრობლემებთან დაკავშირებით შეფასების განმახორციელებელმა პირმა 7 (1%) არასრულწლოვანთან მიმართებით მიუთითა.
- აზროვნების (გაანალიზება, ფაქტების დაკავშირება) სირთულეები 5 (1%) არასრულწლოვანთან მიმართებით გამოვლინდა.
- თვითკონტროლის უნარის არქონაზე 46 (6%) არასრულწლოვნის მიმართ იქნა აღნიშნული.
- 373 (55%) არასრულწლოვნის შეფასებისას სოციალურმა მუშაკმა მიუთითა, რომ მას უჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე: აქვს თუ არა არასრულწლოვანს თვითკონტროლის უნარი.
- 43 (6%) არასრულწლოვანს სხვადასხვა სახის ქცევითი თავისებურებები, ხოლო 18 (3%) არასრულწლოვანს დესტრუქციული ქცევები გამოუვლინდა.
- 52 (8%) არასრულწლოვანი ალკოჰოლზე იყო დამოკიდებული.
- ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება 24 (4%) არასრულწლოვანთან გამოვლინდა, საიდანაც 9 (1%) არასრულწლოვანი დამოკიდებული იყო როგორც ალკოჰოლურ, ისე ნარკოტიკულ ნივთიერებებზე.
- 7 (1%) არასრულწლოვნის აზარტულ თამაშებზე, ხოლო 39 (6%) არასრულწლოვნის კომპიუტერულ თამაშებზე დამოკიდებულება დაფიქსირდა.
- 394 (59%) არასრულწლოვანი სრულად აცნობიერებდა ჩადენილ დანაშაულს, თუმცა ინდივიდუალურ შეფასებაში სოციალური მუშაკის მიერ მითითებული ინფორმაციის თანახმად, 265 (39%) არასრულწლოვანი ნაწილობრივ, ხოლო 15 (2%) არასრულწლოვანი საერთოდ ვერ აცნობიერებდა ჩადენილ ქმედებას.
- ინდივიდუალური შეფასების პროცესში 674 არასრულწლოვნიდან 374-მა (56%) არასრულწლოვანმა აღნიშნა, რომ სრულად იღებდა პასუხისმგებლობას ჩადენილ ქმედებაზე, 285 (42%) არასრულწლოვანი ნაწილობრივ აცნობიერებდა პასუხისმგებლობას, ხოლო 15-მა (2%) არასრულწლოვანმა მიუთითა, რომ საერთოდ არ იღებდა პასუხისმგებლობას მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე.
- 674 არასრულწლოვნიდან 642 (95%) ფიქრობს, რომ საზოგადოება მის მიმართ დადებითად არის განწყობილი. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ არ უგრძნიათ საზოგადოებისგან ნეგატიური განწყობები, ხოლო 32 (5%) არასრულწლოვანი ფიქრობს, რომ საზოგადოება მის მიმართ ნეიტრალურად არის განწყობილი. საზოგადოების მხრიდან უარყოფით დამოკიდებულებაზე არცერთი არასრულწლოვანი არ მიუთითებდა.
- 674 არასრულწლოვნიდან თანატოლებთან კომუნიკაციას 640 (95%) აფასებს დადებითად, 29 (4%) - ნეიტრალურად, ხოლო 3 (1%) - უარყოფითად.

- არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების განხორციელების ეტაპზე, 84 (13%) არასრულწლოვნის მიმართ სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტი დადასტურდა. სოციალური მუშაკის შეფასების თანახმად, ძალადობის შესახებ ეჭვი 29 (4%) არასრულწლოვნის მიმართ არსებობდა, ხოლო 561 (83%) არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
- 674 არასრულწლოვნიდან 452 პირს (67%) არ ჰქონდა ძალადობრივი ქცევის გამოცდილება, 215 (32%) არასრულწლოვანს ჰქონდა სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქცევის გამოცდილება, ხოლო 7 (1%) არასრულწლოვნის მიმართ არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა ჰქონოდა სხვადასხვა სახის ძალადობრივი ქცევის გამოცდილება.

საქართველოს გენერალური პროკურატურა

საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა
და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

სტრატეგიული განვითარების სამმართველო

2025 წელი